მიმართვა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭოს გამოცემა „აიპრესის“ მიერ ეთიკის პრინციპების დარღვევასთან დაკავშირებით

earthscience@iliauni.edu.ge

სტატია:
https://ipress.ge/new/thea-godoladze-zustad-ise-iqtseva-rogorts-rusethi-da-mitsisdzvrebze-monatsemebs-malavs-nino-tseretheli/
ავტორი არ არის მითითებული.

სადავო მასალა:

2021 წლის 6 ივლისს მედია გამოცემა „აიპრესმა“ გამოაქვეყნა სტატია, სადაც ავრცელებს სხვადასხვა ინფორმაციას სეისმოლოგიის ეროვნული ცენტრის და მისი დირექტორის, თეა გოდოლაძის შესახებ. ამ სტატიაში მოყვანილია მრავალი არაზუსტი ფაქტი. ასევე, მასალა ეყრდნობა მხოლოდ ერთი, დაინტრესებული წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და ის არ არის გადამოწმებული არც სხვა, საჯარო და ოფიციალურ წყაროებთან, არც ამ ბრალდებების ადრესატთან - თეა გოდოლაძესთან. მასალა აგებულია ცალმხრივ და დამახინჯებულ ინფორმაციაზე. ჟურნალისტმა არ სცადა არც ერთი ინფორმაციის გადამოწმება, მიუხედავად იმისა, რომ სეისმოლოგიის ეროვნული ცენტრისა და მისი წევრების გარდა, ამ ინფორმაციის გადამოწმების არაერთი საჯარო საშუალება არსებობს. ასევე, მასალა შეიცავს დისკრიმინაციულ ინფორმაციას, პროფესიულ შეურაცხყოფას და პროფესიულ ბრალდებებს თეა გოდოლაძის მიმართ, რომლის საშუალებაც ჟურნალისტმა ასევე მხოლოდ ერთ წყაროს მისცა (გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელს ნინო წერეთელს) და არ მასზე პასუხის მოძიება არ სცადა მეორე მხარიდან, არც ბრალდების სისწორის გადამოწმება სხვა წყაროებთან. ჟურნალისტმა აუდიტორიას მიაწოდა დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომელიც სიტუაციას წარმოაჩენს ცალმხრივად და არ უზრუნველყოფს სურათის და სიმართლის სრულად წარმოჩენა. არ სცა პატივის საზოგადეობას, მიეღო ზუსტი ინფორმაცია, არ გადასცა ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყაროც დადასტურებული.
დარღვეული პრინციპები:
1 პრინციპი: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.
3 პრინციპი: ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია.
11 პრინციპი: ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება

დარღვევა #1 (დაირღვა პრინციპები #1 და #3)

სტატიაში ვკითხულობთ:
„მონაცემები, რომელიც 10 წელია საჯარო აღარაა მეცნიერებისთვის, წესით, სახელმწიფოს კუთვნილებაა და საკითხის მოგვარებაც მას ევალება. გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ სახელმწიფო სტრუქტურებისადმი მიწერილი არაერთი წერილის მიუხედავად, თემა ისევ ღიაა, მოუგვარებელი.“

სტატიიდან ვიგებთ, რომ აქ ჟურნალისტი გულისხმობს სეისმოლოგიური ცენტრის მიერ გავრცელებულ მონაცემებს. თუმცა, ამ მტკიცებულებაში ავტორი არ აკონკრეტებს რა ტიპის მონაცემების გასაჯაროებასა და გავრცელებას, ან რა ტიპის ინფორმაციას გულისხმობს. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, რომელსაც ასევე მისდევენ სეისმური ინსტიტუტის მეცნიერები, ინფორმაცია სხვადასხვანაირად კლასიფიცირდება: არსებობს საჯარო ინფორმაცია, რომელიც ყოველთვის გამოქვეყნებულია. თუმცა ასევე არსებობს ინფორმაცია, რომელიც, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ყოველთვის არ შეიძლება იყოს გამოქვეყნებული იმ შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია ისევ დამუშავების პროცესშია და მასზე კონკრეტული მეცნიერები მუშაობენ (წყაროები იხილეთ ქვემოთ). ზემოაღნიშნული ინფორმაცია წარმოაჩენს, თითქოს, სეისმოლოგიური ცენტრი ბოლო 10 წლის განმავლობაში მონაცემებს, ზოგადად, არ ასაჯაროებს. ეს არის უზუსტობა. მტკიცება, რომ „მონაცემები, რომელიც 10 წელია საჯარო აღარაა მეცნიერებისთვის, წესით,

სახელმწიფოს კუთვნილებაა“ არ შეესაბამება სინამდვილეს. ამასთან, ჟურნალისტი ამ მტკიცებულებას ავრცელებს კონკრეტული წყაროების მოყვანის გარეშე, რომელიც მის მიერ მოყვანილ ფაქტს დაადასტურებდა.

დასაბუთება:
ზოგადად, სეისმური ინსტიტუტის მონაცემების დიდი ნაწილი საჯაროა და მასზე ხელი მიუწვდება როგორც ქართველ, ისე საერთაშორისო მეცნიერებს და დაინტერესებულ პირებს.
დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი 2003 წლიდან ქმნის საქართველოს ციფრულ სეისმურ ქსელს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ა.შ.შ.-ს ენერგიის დეპარტამენტისა და ა.შ.შ.-ს უნივერსიტეტების სამეცნიერო გუნდის დახმარებით. ქსელისა და მონაცემთა განახლება ძირითადად მსხვილი საერთაშორისო პროექტების ხარჯზე მოხდა, განსაკუთრებით, ბოლო 4 წლის განმავლობაში. ჩვენი სამეცნიერო გუნდი ციფრული სეისმური ქსელის შექმნის დღიდან, მონაცემებს კატალოგისა და პირველადი მონაცემების (ე.წ. ბიულეტინები) სახით აწვდის დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ცენტრს - http://www.isc.ac.uk/
ასევე, ჩვენი ციფრული სეისმური ქსელის ტალღური ჩანაწერები გადაეცემა ა.შ.შ.-ს 120 უნივერსიტეტის კონსორციუმს - https://www.iris.edu/
კავკასიაში რეგისტრირებული ძლიერი მოძრაობების ბაზა ასევე ატვირთულია ვებ-გვერდებზე:
https://esm-db.eu/#/home
https://www.orfeus-eu.org/data/strong/
ამრიგად, ჩვენი სამეცნიერო გუნდის მიერ შექმნილი ციფრული სამეცნიერო ქსელის მონაცემები და კატალოგები, რომლებიც განთავსებულია დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ცენტრის და ამერიკის 120 უნივერსიტეტის კონსორციუმის მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია ყველასთვის, მათ შორის გეოფიზიკის ინსტიტუტის მკვლევრებისათვის. იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტული სამეცნიერო, ან კომერციული ამოცანა აქვს მკვლევარს, მან უნდა ჩამოტვირთოს მონაცემები და დაამუშაოს შესაბამისი მეთოდით. დამუშავების პროცესი კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე განსახვავებულია და დამოკიდებულია მასზედ, თუ რა მასალა სჭირდება მას კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად.
ნაწილი მონაცემებისა, რომელიც ამჟამად მიმდინარე საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში გროვდება ჩვენი გუნდის მიერ ჩვენს საერთაშორისო კოლეგებთან ერთად, სამეცნიერო პროექტის დასრულებამდე და გამოქვეყნებამდე ამ მონაცემებზე საავტორო უფლება ეკუთვნის მთლიანად სამეცნიერო, საერთაშორისო გუნდს და შესაბამისად, ჯერჯერობით საჯარო არ არის.

დარღვევა #2:
სტატიაში ვკითხულობთ:

„ოფიციალურად, სეისმოლოგიის ეროვნული ცენტრი, რომლის ხელმძღვანელი თეა გოდოლაძეა, ილიაუნის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენელი ნაწილია, რომელიც სახელმწიფოსგან ფინანსდება. მართალია, თავად ცენტრის ხელმძღვანელი „აიპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხდებს, რომ ეს ასე არაა (თეა გოდოლაძე: ბოლო 2 წელიწადია სახელმწიფოსგან კაპიკი არ მიგვიღია, ხელფასები ირიცხება მარტო! სეისმური ცენტრი რომ აქვს ამ ქვეყანას, ჩვენი გუნდის დამსახურებაა. იხ. თეა გოდოლაძესთან ინტერვიუ), მაგრამ ოფიციალური უწყებებისგან გამოთხოვილი ინფორმაცია სულ სხვა რამეს მოწმობს. თუმცა, ამაზე უფრო მოგვიანებით.“

დასაბუთება:
მიუხედავად იმისა რომ ჟურნალისტი აცხადებს რომ რასაც გოდოლაძე ამბობს, „ეს ასე არაა“ და ოფიციალური ინფორმაცია სხვა რამეს მოწმობს, სტატიაში აღარ არის დაზუსტებული ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც თითქოს შემდეგ ავტორს უნდა მიეწოდებინა მკითხველისთვის. ის ქმნის შთაბეჭდილებას, რომ თეა გოდოლაძე იტყუება, თუმცა ამას არ ასაბუთებს.
დაირღვა პრინციპები #1. #3, #11.

დარღვევა #3:

სტატიაში ჟურნალისტი ასევე აკოპირებს ინფორმაციას ძველი ინტერვიუდან, რომელიც მან თეა გოდოლაძესთან სხვა მასალისთვის აიღო, კერძოდ, 17 ივნისს. თუმცა, სტატიაში ცხადად და გარკვევით არ ჩანს, რომ ის იყენებს სხვა გარემოებაში, სხვა კონტექსტში და სხვა მიზნებისთვის ჩაწერილ ინტერვიუს. ამ გარემოების ახსნის გარეშე, შესაძლოა მკითხველი შეცდომაში შევიდეს, მაგალითად, ეგონოს რომ გოდოლაძე ამით სტატიაში მოყვანილ ინფორმაციას პასუხობს. ამას გარდაც, ინფორმაციის კონტექსტი არასწორადაა წარმოჩენილი და არასწორ შთაბეჭდილებას ქმნის. თუმცა, მოცემულ ინფორმაციაში სხვა ეთიკური პრობლემაც იკვეთება.

„აიპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სეისმური ცენტრის დირექტორი, თეა გოდოლაძე აცხადებს, რომ ის არ აპირებს გაასაჯაროვოს ის მონაცემები, რასაც აშშ-ს მთავრობის მიერ გაცემული გრანტებით მოიპოვებენ.
თეა გოდოლაძე: *ეს ქსელი ნახევარზე მეტი არის ამერიკის შეერთებული შტატების და სამეცნიერო ჯგუფის დამსახურება და ბოლო 4 წელიწადია, საერთაშორისო კვლევის ფარგლებში მიმდინარეობს. იმ ჯგუფსაც (გულისხმობს გეოფიზიკის მეცნიერთა ჯგუფს. ავტ) აქვს საკუთარი კვლევები, ყველგან მონაცემებს აგროვებენ. ოდესმე მივსულვარ და მითხოვია თქვენი ნამუშევარი მე უნდა მივითვისოთქო?*
– ცხადია თქვენ არ მიხვალთ და ვერც ისინი მოვლენ, თუკი საუბარია კერძო კომპანიაზე. ილიაუნი სახელმწიფო სტრუქტურა არ არის? ამაზე აქვთ მათ პრეტენზია.

– რა ფარგლებშიც უნდა იყოს ეს მონაცემები ღია, ეს არის ღია ინფორმაცია. ჩვენ ვაწვდით ამას საერთაშორისო ცენტრებს. ჩვენს წერილშიც რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს და ყველას გავუგზავნეთ. ეს ახალი ამბავი არაა.
– ვთქვათ, იმ მეცნიერებს, რომლებსაც რეალურად აინტერესებთ, თუნდაც მიწისძვრების შესახებ მონაცემები, როგორი შანსები აქვთ თქვენთან და როგორია მათთვის მონაცამებზე ხელმისაწვდომობა?

– არის საერთაშორისო ცენტრები, რომლებთანაც ვთანამშრომლობთ, ეს მონაცემები დაბეჭდილია რაც საქართველოშია, ასეთ რაღაცას არავინ არ აკეთებს. სომხეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის ქსელი დახურულია.“

დასაბუთება:
მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ძველ ინტერვიუში, თეა გოდოლაძე ასევე ხსნის განსხვავებას იმ მონაცემების შესახებ, რომელიც მათი ინსიტუტის ფარგლებში არის ან არ არის ღია, ამის შესახებ ჟურნალისტმა მის ახალ სტატიაში ინფორმაციას აღარ ვხედავთ. მასალაში მოტანილია მხოლოდ ინფორმაციის ნაწილი, რომელიც სრულ სურათს არ ქმნის. მაგალითად, 17 ივნისს სტატიაში ასევე ვკითხულობთ (ნაწყვეტი):
„ამ სამეცნიერო კვლევებს ვინ აკეთებს? ილიაუნის ინსტიტუტი არა?

ილიაუნის ინსტიტუტი, მაგალითად, შეისწავლის სეისმური საშიშროების შეფასებას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი კვლევაა.
ამერკის შეერთებულლი შტატები გეუბნებათ თქვენ, რომ დაფაროთ ეს ინფორმაცია, ეს მათი მოთხოვნა არის?

არა, მაგას არ გვეუბნება, მაგრამ ეს არის შეთანხმება. სამეცნიერო გუნდი განსაზღვრავს გაგიხსნას თუ არა ინფორმაცია.“

ამის მიუხედავად, ჟურნალისტი მაინც განაგრძობს მტკიცებას და წარმოაჩენს ფაქტებს ისე, თითქოს საქართველოს ეროვნული სეისმური ცენტრის მიერ ინფორმაცია სრულად დახურულია. მეტიც, მას რუსეთს ადარებს:

„რამდენად მოგებიანია დემოკრატიული ქვეყნისთვის, რომელიც 2024 წელს ევროკავშირში განაცხადის გაკეთებას აპირებს წევრობაზე, თავს იწონებდეს რუსეთის გვერდით დგომით?

თუმცა, როგორც ირკვევა, რუსეთიც კი უფრო წინ წასულია და იქაური სეისმური ცენტრი, განაცხადის გაკეთების შემთხვევაში, სეისმურ მონაცემებს ყველა დაინტერესებულ პირს აძლევს, მითუმეტეს მეცნიერებს“ .

გარდა იმისა, რომ ეს ინფორმაცია ფაქტობრივად არაზუსტია - სინამდვილეში საქართველოდან, ზოგადად სეისმური მონაცემები დახურული არ არის და ის რუსეთისგან განსხვავდება (და მონაცემების ღიაობაზე და ღიაობის წესსზე ჟურნალისტს ძველ ინტერვიუში გოდოლაძეც მიუთითებს), კიდევ ერთი პრობლემა იკვეთება: არაზუსტ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჟურნალისტი საქართველოს სეისმური ინსტიტუტის რუსეთთან შედარებით ახდენს სეისმოლოგიური ცენტრის იმიჯის დისკრედიტაციას, თითქოს საქართველო ამ მხრივ რუსეთს არ ჩამოუვარდება. აღსანიშნავია, რომ დისკრედიტაცია ხდება კვლავ გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

დაირღვა პრინციპები #1, #11.

დარღვევა #4.

სტატია გრძელდება მხოლოდ ერთ წყაროზე, გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგიის, სეისმური საშიშროებისა და კატასტროფების რისკის სექტორის თანამშრომლის ნინო წერეთლის მიერ მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, სადაც უამრავი უზუსტობაა. მიუხედავად იმისა რომ არაერთი ღია და ოფიციალური წყარო არსებობს, სადაც ამ ინფორმაციების გადამოწმება შეიძლებოდა, სტატიის ავტორს ამის მცდელობა არ ჰქონია.

მცდარი ფაქტები წერეთლის ინტერვიუდან.

1. მონაცმების გასაჯაროებაზე წერეთელი ამბობს:

   „ეს არის საერთაშორისო პრაქტიკა და მე არაფერს ვიგონებ. ყველგან, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მონაცემები, რაც მიწისძვრებს, ჰიდროლოგიას, მეტეოროლოგიას და ასე შემდეგ ეხება, არის ღია, ვინაიდან ეს არის სამეცნიერო საკითხები.“

   ახსნა:
   საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით მონაცემები ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი, სანამ მოცემული კვლევის სამეცნიერო ჯგუფი მას არ გამოაქვეყნებს. საერთაშორისო პრაქტიკა არ ითვალისწინებს და არ ავალდებულებს კვლევების ავტორებს, გამოაქვეყნონ დამუშავების პროცესში მყოფი მონაცემები. ეს ხშირად ასევე დამოკიდებულია საავტორო ჯგუფის გადაწყვეიტლებაზე.

2. ნინო წერეთელი (თეა გოდოლაძეზე):

   „რომ იჩემებს 42 სადგური მაქვსო და 15 სადგურის მონაცემსაც ვერსად იპოვით. აზერბაიჯანი სრულიად აწვდის ყველა სადგურის მონაცემებს, 35 სადგურის მონაცემები აქვს გაწერილი. ასევეა, რუსეთიც.“

დაირღვა პრინციპები #1, #3

3. სტატიაში წერეთელი ამბობს:

   „რაც შეეხება მე როგორ ვმუშაობ, როდესაც მჭირდება ინფორმაცია, პირდაპირ ვუკავშირდები ჩემს კოლეგებს და ისინი უპრობლემოდ მიგზავნიან სრულ კატალოგს. მაგალითად ავიღოთ თუნდაც

თურქეთი. თურქეთსაც აქვს სრულად წარმოდგენილი თავისი კატალოგი ევროპის პლატფორმაზე, იქ შეუძლია ყველას შევიდეს, უბრალოდ უნდა დარეგისტრირდეს, ციტირების ინდექსი გააკეთოს და მთლიანად შეუძლია ყველა მონაცემი ჩამოტვირთოს.

ახსნა: სინამდვილეში, თურქეთს ღია აქვს ძველი, უკვე დასრულებული მონაცემები, ისევე როგორც საქართველოს სეისმურ ინსტიტუტს და მსგავსი მონაცემების მოძიება საქართველოშიც შესაძლებელია. თუმცა, ეს ინფორმაციაც, როგორც ბევრი სხვა, აღნიშნულ სტატიაში არ მჟღავნდება და რჩება მხოლოდ წერეთლის მიერ მოწვდილი არასწორი ინფორმაცია, რომელსაც ჟურნალისტი მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, რომ წარმოაჩინოს, თუ რა დახურულია საქართველოს სეისმური ცენტრი (რაც სიმართლეს არ შეესაბამება).

დაირღვა პრინციპები #1, #3.

4. სტატიაში წერეთელი ავრცლებს კიდევ ერთ არასწორ ინფორმაციას:

*„თქვენ ამბობთ, რომ რუსეთსაც კი იმაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს ვიდრე ჩვენ? ანუ, თუ მიმართავ, **რუსეთის სეისმოლოგის ცენტრს, მოგაწვდით მონაცემებს** დიახ, თუ მიმართავ გამოგიგზავნიან. ეს პრაქტიკა რუსეთთან მე პირადად არ მქონია და არც დამჭირვებია, რადგან მათ მონაცემებს საერთაშორისო ქსელიდან ვაგროვებ. საერთაშორისო ქსელში მათ გაცილებით სრულყოფილი მონაცემები აქვთ, ვიდრე საქართველოს.*

დასაბუთება: ისევე როგორც რუსეთის, საქართველოს მონაცემებიც საერთაშორისო ქსელშია განთავსებული.

სეისმური მონაცემების რეგულაცია ხდება სხვადასხვა პრინციპით. თუ მონაცმები მოპოვებულია კონკრეტული პროექტის ფარგლებში, ის წარმოადგენს პროექტში მომუშავე პირების საავტორო ნამუშევარს და დამოკიდებულია საერთაშორისო შეთანხმებაზე. გაუგებარია რუსეთის მაგალითის მოყვანა. არსებობს რუსული ღია მონაცემი ან დახურული, არსებობს ამერიკული ღია მონაცემი ან დახურული. ზუსტად ჩვენი საერთო : ქართულ ამერიკული ;პროექტი რეგულირდება ხელშეკურლებითა და შეთანხმებით. საქართველოს სეისმური ქსელის მონაცემები ღიაა და მათი ნახვა საერთაშორისო ვებგვერდზებზე შესაძლებელია. მაგალითები იხილეთ დარღვევა #1-ში.

5. **სტატიაში ასევე ვრცლდება ინფორმაცია:**

„საერთაშორისო სეისმოლოგიური ცენტრის წევრები ჩვენ თუ ვართ?

როგორ არ ვართ. თუმცა, თეა გოდოლაძის მიერ ატვირთული მონაცემები სრულყოფილი სახით საერთაშორისო ქსელშიც არ არის.
ევროპის რომელ ქვეყნებს აქვთ სრულყოფილი მონაცემები ატვირთული საერთასორისო ქსელში?

ევროპის ნებისმიერ ქვეყანას, სადაც სეისმური ქსელი არის, მისი კატალოგები სრულყოფილად ხელმისაწვდომია. ყველა ქვეყანას აქვს თავისი საიტები და ნებისმიერ დროს შეიძლება იქიდან მონაცემების გადმოტვირთვა. ისინი ყველანაირ მონაცემებს განალაგებენ, მარტო სეისმოლოგიურს არა, ვულკანურს, გეოლოგიურს და ა.შ...“

დასაბუთება:
ეს ინფორმაცია ასევე არის არასწორი. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ნებისმიერი ტიპის, მათ შორის მიმდინარე კვლევების ინფორმაცია ღია არ არის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დახურულ შეიძლება იყოს ინფორმაცია, რომელზეც ჯერ კიდევ კვლევა მიმდინარეობს და მას მეცნიერები ყოველთვის არ ასაჯაროებენ, რადგან ეს მათი კვლევა და პროექტია. სწორედ მსგავს პრაქტიკაზეა საუბარი სეისმური ინსტიტუტის მიერ დროებით დახურულ ინფორმაციაზეც, რომელიც მან გეოფიზიკის

ინსტიტუტს არ მიაწოდა. თუმცა, სტატიაში კონტექსტი სრულიად დამახინჯებულია, არ არის ახსნილი ეს განსხვავება.

დაირღვა პრინციპები #1, #3, #11.

6. **სტატიაში ვკითხულობთ:**

> ***ნინო წერეთელი:*** *„როგორც კი პუბლიკაცია კეთდება, იქ იმას თან უნდა დაერთოს აუცილებლად მასალა, რაზე დაყრდნობითაც გამოქვეყნდა."*

სწორი ფაქტი: სინამდვილეში ასეთი აუცილებლობა არ არსებობს და ინფორმაციის გასაჯაროება დამოკიდებულია მასალაზე და ავტორების გადაწყვეიტლებაზე. ამას ადასტურებს სწორედ თეა გოდოლაძის მიერ 2020-წელს გამოქვეყნებული სტატია ამერიკელ კლეგებთან ერთად საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, სადაც, იქიდან გამომდინარე რომ კვლევა არ არის დასრულებული, ყველა ინფორმაცია, ორივე მხარის გააწყვეტილებით, გამოქვეყნებული არ იყო. ბუნებრივია, სტანდარტები რომ ყოფილიყო დარღვეული, ამ კვლევას ავტორიტეტული საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი არ გამოაქეყნებდა. თუმცა, ამ ინფორმაციასაც არასწორ კონტექსტში იყენებს სტატიის წყარო ნინო წერეთელი"

„მაგალითად, თეა გოდოლაძემ გააკეთა თავის ამერიკელ კოლეგებთან 2020-ში პუბლიკაცია სეისმური საშიშროების. არანაირი მასალა ზედ არ დაურთო, უბრალოდ არის სტატია. ანუ სეისმური საშიშროება რამდენად სწორად არის შეფასებული, ამის რევიზიას ვერავინ გააკეთებს იმიტომ, რომ თან არ ახლავს მასალა. ჩვენ რომელი პუბლიკაციაც გამოვაქვეყნეთ 2021-ში, იმას თან ახლავს კატალოგი და ნებისმიერს შეუძლია ჩვენი გათვლების გადამოწმება. ამიტომ, დარღვეულია აბსოლუტურად ყველანაირი წესი, რაც მოქმედებს დასავლეთში, იქნება ეს ევროპა თუ ამერიკის შეერთებული შტატები."

ჟურნალისტმა კვლავ არ გადაამოწმა მოცემული მასალების სისწორე სანდო წყაროებთან, პირვლეწყაროებთან და მხოლოდ ერთ რესპოდენტზე დაყრდნობით, სტატიაში ინფორმაცია წარმოაჩინა არასრული სახით, სტატიაში დამახინჯდა კონტექსტი, არ არის მოცემული სიმართლის სრული სურათი, არ არის მოცემლუი რელევანტური წყაროები (რომლებიც საჯაროდ იძებნება).

დაირღვა პრინციპები #1, #3.

7. სტატიაში ჟურნალისტი ეკითხება რესპონდენტს:

> ***„თეა გოდოლაძე „აიპრესთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ აშშ-ს მთავრობის წარმომადგენლებიც კი აღშფოთდნენ, როგორ შეიძლება ამ მონაცამების სრულად გასაჯაროვებას გთხოვდნენო….***

თეა გოდოლაძე არის ჩვეულებრივი მატყუარა, აბსოლუტურად არ წარმოადგეს არანაირ ავტორიტეტს. იტყუება და ამის გადამოწმება მარტივად შეუძლია განათლების სამინისტროს. მიწეროს აშშ-ს დეპარტამენტს და ვნახოთ რა პასუხს მიიღებს. ინდივიდუალურად, თუ რომელიმე მისი ნაცნობი აღშფოთდა სადმე, ეს საერთოდ არ გამოხატავს აშშ-ს აზრს."

დასაბუთება: რესპონდენტი კვლავ ეწევა თეა გოდოლაძის და მისი პროფესიული იმიჯის შეუარცხყოფას. ამის მიუხედავად, ჟურნალისტს კვლავ არ უცდია, თუნდაც ეს ბრალდება და მისი ინფორმაციის სისწორე გოდოლაძესთან, განათლების სამინისტროსთან, ან აშშ-ის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან გადაემოწმებინა. სტატიაში რეალურად ვხვდებით არარელევანტური წყაროს მიერ მოყოლილ ამბავს და მის მიერ დასახელებულ ბრალდებებს, მაშინ, როცა აღნიშნულ წყაროს მის მიერ მოყოლილ პროცესთან კავშირი არც ჰქონია და მხოლოდ საკუთარ მოსაზრებებზე დაყრდნობით მეცნიერულ კვლევაში ჩართულ ინსტიტუტს (სეისმური ინსტიტუტი და მისი დირექტორი თეა გოდოლაძე) უწოდებს მატყუარას. ამის საშუალებას მას აძლევს ჟურნალისტი, რომელმაც ინფორმაცია ისე გადასცა ხალხს, რომ არც უცდია,

რეალურად აღნიშნულ პროცესში მონაწილე მხარეებისგან მოესმინა და გაეგო ის პროცესი, რომელზეც წერეთელი ყვება (სამინისტრო, გოდოლაძე, აშშ-ის დეპარტამენტი).